<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N02/01/17</u>

(CPV 09100000)

ქ. თბილისი **29/12/2016 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებული „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობების დამტკიცების“ მე–5 მუხლის მე–6 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად და საწვავის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის 2016 წლის 28 დეკემბრის N4962 ნებართვის საფუძველზე, ერთი მხრივ შ.პ.ს. “სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ (შემდგომში ”მიმწოდებელი”) წარმოდგენილი შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ იურისტის **კახაბერ გოგოლაძის** (პ/ნ 01006008662, თანახმად 14.04.2016 წლის მინდობილობისა ინდ.#71593758028816, რეგ.#160381734) სახით და მეორე მხრივ, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ (შემდგომში “შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით ტორუას** სახით, ვდებთ წინამდებარე გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. <u>ხელშეკრულების საგანი</u>

1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საგანია **საბარათე** სისტემის მეშვეობით “მიმწოდებლის” ავტოგასამართ სადგურებზე “შემსყიდველისათვის” საავტომობილო საწვავის, კერძოდ, **ევრო დიზელის** მიწოდება.

1.2. შესყიდული საწვავის ხარჯვა მოხდება დანართში მითითებული სსიპ „სსდ ცენტრის“ სარგებლობაში არსებული ავტომობილების მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. <u>ტალონების/ბარათების და საწვავის გაცემის პირობები</u>

2.1. „მიმწოდებელი” “შემსყიდველს” ბარათზე საწვავს გადასცემს მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე.

2.2. მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი მოიცავს საწვავის სახეობას, საწვავის საერთო რაოდენობასა და საწვავის ფასს.

2.3. მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ით ბარათზე საწვავის გადაცემის შემდეგ ‘’შემსყიდველზე’’ გადადის მათი დაზიანების, განადგურების და დაკარგვის რისკი.

3. <u>ფასი და ანგარიშსწორება</u>

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **46 020** (ორმოცდა ექვსი ათას ოცი) ლარს, 1 (ერთი) ლიტრი **ნანო ევრო დიზელის** ფასია 1.77 - (ერთი ლარი და სამოცდა ჩვიდმეტი თეთრი) ლარი.

ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დ.ღ.გ.-ს აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

3.4.**“შემსყიდველი” ანგარიშსწორებას ახდენს “მიმწოდებელთან“, ანგარიშ–ფაქტურის დამოწმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.**

3.5 “შემსყიდველის” მხრივ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურება ან დადასტურების უარყობა განხორციელდება, სასწვავის შეძენაზე განაცხადის (წერილობითი ან ზეპირი) წარდგენის დღესვე.

3.6 შესასყიდი **ნანო ევრო-დიზელის** რაოდენობა არის – 26 000 ლიტრი საბარათე.

3.7. “შემსყიდველის” მიერ გადახდის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, ანაზღაურების სრული თანხის წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 პუნქტში მითითებულ “მიმწოდებლის” საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის მომენტიდან.

3.8. ვადაგადაცილებულად ჩაითვლება დავალიანება, თუ „შემსყიდველი“ არ დაფარავს „მიმწოდებლის“ მიმართ არსებულ დავალიანებას ამ ხელშეკრულების 3.4 პუნქტში მითითებულ ვადაში.

3.9. “შემსყიდველის” მიერ გადახდის შეთანხმებული ვალდებულების ვად(ებ)ის გადაცილების შემთხვევაში, “მიმწოდებელი” უფლებამოსილია მისი შეხედულებით დაარიცხოს და მოთხოვოს “შემსყიდველს” პირგასამტეხლო ასანაზღაურებული თანხის 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მხრიდან წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული გადახდის რომელიმე ვალდებულება იქნება დარღვეული/ვადაგადაცილებული ერთ თვეზე მეტი ხნის ვადით, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ამ მუხლში ზემოთ მოცემულ პირგასამტეხლოსთან ერთად, ჯარიმის სახით დააკისროს „შემსყიდველს“ იმ პერიოდში ვალუტის კურსის ან/და საწვავის საბაზრო (საერთაშორისო ან/და

ადგილობრივი) ფასის ცვლილებით მიღებული ზარალის/ზიანის სრული ოდენობა. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრება წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება და შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადახდას დამრღვევი მხარისათვის წინასწარი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის თარიღისა.

4. <u>მხარეთა ვალდებულებები</u>

4.1. "მიმწოდებელი'' ვალდებულია „შემსყიდველის“ მიერ წინასწარ გაკეთებული მოთხოვნიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში, სამუშაო დღეების (დასვენების დღეებად ითვლება შაბათი და კვირა) სამუშაო საათებში გადასცეს "შემსყიდველს" ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს შესაბამისი ბარათზე საწვავი და შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი სხვა ვალდებულებები; შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

4.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

4.2.1. ამ „ხელშეკრულების“ შესაბამისად, მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან";

4.2.2. საწვავის ბარათზე მისაღებად, თავის წარმომადგენელს გადასცეს დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება მისი უფლებამოსილება საწვავის/ბარათების მიღებაზე.

4.2.3. „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია ლოგისტიკის დეპარტამენტის, ლოგისტიკის და სამეურნეო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი თორნიკე ადუაშვილი (პ/ნ: 01011056764).

4.2.4. "შემსყიდველი'' ვალდებულია ''მიმწოდებელს'' დაუყოვნებლივ მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია უფლებამოსილი პირის ცვლილების შესახებ.

5. <u>ხელშეკრულების მოქმედების ვადა</u>

5.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

5.2. „მიმწოდებელი“ და „შემსყიდველი“ უფლებამოსილნი არიან მეორე მხარისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“. ასეთი შეწყვეტა არ ჩაითვლება „ხელშეკრულების“ დარღვევად. ამასთანავე, „ხელშეკრულების“ ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ამ „ხელშეკრულების“ მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ ან არაჯეროვნად ასრულებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებებს. „ხელშეკრულების“ შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს შეწყვეტამდე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. <u>ფორსმაჟორი</u>

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას მხარე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას ჯეროვნად შეესრულებინა ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება მიწისძვრა, წყალდიდობა, ეპიდემია, პანდემია, აჯანყება, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი, საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები (ფორს-მაჟორული გარემოებები). მხარე რომელსაც შეეხება ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოებები ვალდებულია მეორე მხარეს გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა) წერილობით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ.

7. <u>დავების გადაწყვეტა</u>

7.1. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა ამ „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

7.2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომლებიც წარმოიშობა მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის, განიხილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, მათ შორის ამ „ხელშეკრულების“ შესრულების, დარღვევის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

8. <u>სხვა პირობები</u>

8.1. ამ „ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამ „ხელშეკრულების“ ყველა დამატება და ცვლილება უნდა შესრულდეს ამ „ხელშეკრულების“ ფორმის დაცვით.
8.2. ამ „ხელშეკრულების“ რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი „ხელშეკრულების“, ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.
8.3. ეს „ხელშეკრულება“ შედგენილია თანაბარი იუდირიული ძალის მქონე 3 (სამი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება “მიმწოდებელს”, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცემა “შემსყიდველს”.

9. <u>მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:</u>

“მიმწოდებელი”	“შემსყიდველი”
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	**სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრ**
იურ. მის.: ქ.თბილისი, ისან- სამგორის	იურ. მის.: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის
რაიონი, 300 არაგველის ქ.#24	გამზ.#144
საიდენტიფიკაცო კოდი: 202352514	ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი.
საბანკო რეკვიზიტები:	აკ. წერეთლის გამზ. #117
სს „საქართველოს ბანკის“	საიდენტიფიკაცო კოდი: 205307960
ცენტრალური ფილიალი	დაფინანსების წყარო:
ბანკის კოდი: BAGAGE22	სახელმწიფო ბიუჯეტი
ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600	ხაზინის ერთიანი ანგარიში
	ბანკის კოდი - TRESGE22
	შიდა ანგარიში - 200122900
	სახაზინო კოდი - 3503030702
კახაბერ გოგოლაძე	**დავით ტორუა**

ვიზირებულია:

ა. შეყილაძე

გ. ტარუღიშვილი

ვ. ჭანიშვილი

გ. აბულაძე

გ. თოფურია

შემსრულებელი: ნ. გამრეკელი

2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02/01/17 ხელშეკრულების

დანართი

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2016 წ.

N	რაიონი	ავტომობილის მარკა	სახ.ნომერი	საწ. ტიპი
1	ახმეტა	ახალი ფორდი	EM147SC	ევრო დიზელი
2	ახმეტა	ფოლკსვაგენი	EM079SC	ევრო დიზელი
3	ახმეტა	ფოლკსვაგენი	EM191SC	ევრო დიზელი
4	ახმეტა	ახალი ფორდი	EM089SC	ევრო დიზელი
5	ბოლნისი	ახალი ფორდი	EM143SC	ევრო დიზელი
6	ბოლნისი	ფოლკსვაგენი	EM180SC	ევრო დიზელი
7	ბოლნისი	ახალი ფორდი	EM114SC	ევრო დიზელი
8	ბორჯომი	ფოლკსვაგენი	EM124SC	ევრო დიზელი
9	ბორჯომი	ფოლკსვაგენი	EM123SC	ევრო დიზელი
10	ბორჯომი	ახალი ფორდი	EM117SC	ევრო დიზელი
11	ბორჯომი-ბაკურიანი	ფოლკსვაგენი	EM125SC	ევრო დიზელი
12	გარდაბანი	ახალი ფორდი	EM074SC	ევრო დიზელი
13	გარდაბანი-გამარჯვება	ახალი ფორდი	EM097SC	ევრო დიზელი
14	გარდაბანი-თელეთი	ახალი ფორდი	EM098SC	ევრო დიზელი
15	გარდაბანი--თელეთი	ფოლკსვაგენი	EM156SC	ევრო დიზელი
16	დედოფლისწყარო	ფოლკსვაგენი	EM081SC	ევრო დიზელი
17	დედოფლისწყარო	ფოლკსვაგენი	EM082SC	ევრო დიზელი
18	დედოფლისწყარო	ფოლკსვაგენი	EM083SC	ევრო დიზელი
19	დმანისი	ფოლკსვაგენი	EM110SC	ევრო დიზელი
20	დმანისი	ფოლკსვაგენი	EM182SC	ევრო დიზელი
21	მესტია	ფოლკსვაგენი	EM035SC	ევრო დიზელი
22	მესტია	ფოლკსვაგენი	EM187SC	ევრო დიზელი
23	საგარეჯო	ფოლკსვაგენი	EM084SC	ევრო დიზელი
24	საგარეჯო	ახალი ფორდი	EM092SC	ევრო დიზელი
25	საგარეჯო	ახალი ფორდი	EM093SC	ევრო დიზელი
26	სიღნაღი	ფოლკსვაგენი	EM087SC	ევრო დიზელი
27	სიღნაღი	ახალი ფორდი	EM096SC	ევრო დიზელი
28	სიღნაღი	ფოლკსვაგენი	EM184SC	ევრო დიზელი
29	ტყიბული	ფოლკსვაგენი	EM057SC	ევრო დიზელი
30	ტყიბული	ფოლკსვაგენი	EM193SC	ევრო დიზელი
31	ტყიბული-ორპირი	ფოლკსვაგენი	EM136SC	ევრო დიზელი
32	ქარელი	ფოლკსვაგენი	EM107SC	ევრო დიზელი
33	ქარელი	ფოლკსვაგენი	EM205SC	ევრო დიზელი
34	ქედა	ფოლკსვაგენი	EM039SC	ევრო დიზელი
35	ქედა	ფოლკსვაგენი	EM040SC	ევრო დიზელი
36	ყაზბეგი	ფოლკსვაგენი	EM131SC	ევრო დიზელი
37	ყაზბეგი	ფოლკსვაგენი	EM132SC	ევრო დიზელი
38	ყვარელი	ფოლკსვაგენი	EM085SC	ევრო დიზელი
39	ყვარელი	ახალი ფორდი	EM113SC	ევრო დიზელი
40	ყვარელი	ახალი ფორდი	EM167SC	ევრო დიზელი
41	წალენჯიხა	ფოლკსვაგენი	EM064SC	ევრო დიზელი

42	წალენჯიხა	ფოლკსვაგენი	EM178SC	ევრო დიზელი
43	ჭიათურა	ფოლკსვაგენი	EM056SC	ევრო დიზელი
44	ჭიათურა	ფოლკსვაგენი	EM134SC	ევრო დიზელი
45	ჭიათურა	ფოლკსვაგენი	EM135SC	ევრო დიზელი
46	ხარაგაული	ფოლკსვაგენი	EM211SC	ევრო დიზელი
47	ჯვარი	ფოლკსვაგენი	EM150SC	ევრო დიზელი
48	ჯვარი	ფოლკსვაგენი	EM181SC	ევრო დიზელი

"მიმწოდებელი"

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
იურ. მის.: ქ.თბილისი, ისან- სამგორის
რაიონი, 300 არაგველის ქ.#24
საიდენტიფიკაცო კოდი: 202352514
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600

კახაბერ გოგოლაძე

"შემსყიდველი"

სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრ
იურ. მის.: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის
გამზ.#144
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი.
აკ. წერეთლის გამზ. #117
საიდენტიფიკაცო კოდი: 205307960
დაფინანსების წყარო:
სახელმწიფო ბიუჯეტი
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
შიდა ანგარიში - 200122900
სახაზინო კოდი - 3503030702

დავით ტორეა